# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

## დადგენილება № 01-05-04/69

ქ. თბილისი 22 მარტი 2019

**სტუ-ის IT ინფრასტრუქტურისა და სერვისების შემდგომი განვითარების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის კომპიუტერული ქსელის მართვის ცენტრის უფროსის, ზ. ცირამუას 2019 წლის 21 მარტის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 მარტის №01-05-02/07 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოწონებულ იქნეს სტუ-ის კომპიუტერული ქსელის მართვის ცენტრის უფროსის, ზაზა ცირამუას მიერ წარმოდგენილი წინადადება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში IT ინფრასტრუქტურის და სერვისების შემდგომი განვითარების შესახებ ევროპის ღია მეცნიერების ინიციატივასთან (GEANT) ჰარმონიზაციის მიზნით, კერძოდ:
   - სტუ-ის კამპუსებში და მიმდებარე რეკრეაციულ ადგილებში უსადენო ქსელით დაფარვის ზონის გაზრდა 100%-მდე;
   - საერთაშორისო სასწავლო ვიდეოსაკონფერენციო სისტემის მოწყობა უნივერსიტეტში;
   - უნივერსიტეტის სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის ელ. რესურსთან წვდომის ერთიანი ავთენტიფიკაციის სისტემის შექმნა;

- უნივერსიტეტში ელექტრონული და დისტანციური სწავლების, ელ. საბიბლიოთეკო და სხვადასხვა სტუდენტურ ელ. სერვისებზე გაზრდილი მოთხოვნიდან გამომდინარე, ქსელური და სერვერული ინფრასტრუქტურის გაფართოება.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე — ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი — გ. სალუქვაძე